20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

31/07/2025 N 137

თბილისი

შპს „სითი ფეი“-ს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 52^5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 13 ივნისის №94/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის საფუძველზე:

1. შპს „სითი ფეი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 402132312) რეგისტრირებულ იქნას ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად და მიენიჭოს სარეგისტრაციო ნომერი 0026 – 9404.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული და გაუქმებული ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ჩამონათვალი განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე (www.nbg.gov.ge) ზედამხედველობის სექციაში.

3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი